

იოვანე ავალიშვილის იდენტიფიკაციის საკითხისათვის

იოვანე ავალიშვილი კალიგრაფი და მწიგნობარი, საყვარისა და ქვათახევის მონასტრების წინამძღვარი, ალავერდისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ იოვანე IX-თან (1612-1616)¹. ნაშრომის მიზანია, იოვანე ავალიშვილის იდენტიფიკაცია და მისთვის კუთვნილი ადგილის დაბრუნება საქართველოს ისტორიაში.

იოვანე IX-ს თ. უორდანია უცნობად², ხოლო მ. თამარაშვილი ნაკლებად ცნობილ კათოლიკოსად მოიხსენიებს³. იოვანე კათოლიკოსი თან ახლდა იმერეთს შეხიზნულ ლუარსაბ II-ს (1606-1614) და იმერეთშივე გარდაიცვალა. იოვანეს მოხსენიება-მონაწილეობით მოგვეპოვება 1616 წლით დათარიღებული წყალობისა და საკანონოს წიგნები⁴, რომელთა თანახმადაც, 1616 წლისათვის იოვანე კათოლიკოსი ჯერ კიდევ ცოცხალია.

იოვანე კათოლიკოსის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს დაახლოებით 1615 წლის (თ. უორდანიას დათარიღება) სვეტიცხოვლის საქადაგო ხატის წარწერა, რომელიც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსს, მალაქია გურიელს ეკუთვნის. სახატის წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „სვეტო ღვთიე აღმართებულო, კვართო საუფლოო და მირონო წმიდო... შევაძეკე და გაეაჭედინდე კუბო ესე სვეტის ცხოვლისა, საქადაგე ხატისა ჩვენ ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კუშან გურიელმა მალაქია... მას ჟამსა, ოდეს შააბაზ ყანმან კახეთი და ქაროლი ალაოკრა და ქართლის ბატონები ორნივე ღიხთ მთას აქათ გაღმოვიდნენ და ჩვენ ეიხიზნეთ და ქართლისა კათალიკოზი იოვანე ჩვენთან მოვიდა და ჩვენთან მიიცვალა და რაცა საკათალიკოსო იარადი დარჩა, ზაქარია კუშა მივაბარეთ. ესე საქადაგე ხატი, სურა, ბარქაში აქ დარჩა და თუ

¹ ქსე V, გვ. 187, ბ. ლომინაძის სტატია; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 104-105; შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი", გამომცემელი პ. მარგველაშვილი, თბ., 2005, გვ. 15; "ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგინეთ ქეთი მატაბელი, ალბომი, თბ., 2009, გვ. 103.

² თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფილისი, 1897, გვ. 440.

³ მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, ზ. ალექსიძის და ჯ. ოდიშელის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1995, გვ. 420, 466.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 392, 482.

მართლად საქართველო შეიქმნას, იპრიანოს ღწ, ჩვენ მოვახსენოთ ამის საყდრისა და სხეაცა მრავალი კარგი შეკვწიროთ...“ სახაჯის წარწერის თ. ჟორდანიასეული დათარიღებაა დაახლოებით 1615 წელი. იოვანე, რომელიც 1616 წლისათვის დანამდილებით ცოცხალია სახატის წარწერაში გარდაცვლილად იხსენიება. წარწერიდანვე ჩანს რომ, ამ დროისათვის აღმოსაყლეთ საქართველოს კათოლიკოსია ზაქარია ჯორჯაძე (1623-1632)⁵ ამდენად, წარწერა 1623 წლის უადრეს ვერ დათარიღდება და უნდა მოექცეს ზაქარიას კათოლიკოსობის პერიოდში – 1623-1632 წლებში. კათოლიკოსი იოვანე LX, 1617 წლისათვის გარდაცვლილია, რაც შეეხება იოვანე ავალიშვილს, ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, 1636 წლისათვის დანამდილებით ცოცხალია.

არცერთ სიგელში, კათოლიკოსი იოვანე LX ავალიშვილად არ იხსენიება.⁶ განსხვავებულია მათი ხელრთვაც. იოვანე კათოლიკოსისა და იოვანე ავალიშვილის ერთ პიროვნებად მიჩნევა შეუძლებელია.

გაირკვა რა, რომ საქმე გვაქვს ორ, სხვადასხვა პირთან, არსებულ ცნობათა საფუძველზე შეეცდებით თვალი გაეადეუნოთ მეტად საინტერესო პიროვნების იოვანე ავალიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ოსმალური ექსპანსიის გამო, ავალიშვილთა ნაწილმა, სამხრეთ საქართველოდან ქართლში გადმონაცვლა. ქართლს გადმოსულთა შორის უნდა ყოფილიყო იოვანე ავალიშვილის ოჯახიც. ჩვენთვის ცნობილ, იოვანეს ოჯახის წევრთაგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი არიან იოვანე ავალიშვილის ძმა ზაქარია და მისი შვილი არსენი. ზაქარია ავალიშვილის, სამეფო სახლობასთან დაახლოებული პირის, ღვაწლსა და დამსახურებას თეიმურაზ I არაერთგზის აღნიშნავს მისთვის სხვადასხვა დროს გაცემულ წყალობის სიგელებში.⁷ ზაქარია ავალიშვილის ძე, არსენი, საფარის მონასტრის წინამძღვარი, შემდგომში ბიძგბელი და აღაუერდელი მთავარეპისკოპოსი, თეიმურაზ I-ის არსენ ავალიშვილისათვის გაცემული სიგელის თანახმად, აღზრდილია ბიძის. იოვანე ავალიშვილის მიერ. იოვანეს, არსენი, თეიმურაზ I-ის შეფასებით „კაცი სარწმუნო“, აღუზრდია, კეთილად და სამონოდ ქრისტესსა...“⁸

⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000 (ე. კაჭარავას ნაწილი), გვ. 106.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 391, 392, 482; თ. ჟორდანი, ქრონიკები, გვ. 440.

⁷ საქართველოს სიბეელები, გვ. 541-542, 546.

⁸ იქვე, გვ. 538-539.

იოვანე ავალიშვილი, როგორც სასულიერო მოღვაწე, პირველად იხსენიება ათაბაგ მანუჩარ III-ისა და მისი დედის, სვიმონ I-ის ასულის – ელენეს, იოვანე და ზაქარია ავალიშვილებისათვის გაცემულ წყალობის წიგნში. საბუთის გამცემთ იოვანეს საფარის მონასტრის წინამძღვრად მოხსენიება ზედმეტად მიუხედავად. მანუჩარი და ელენე მას მიმართავენ, მხოლოდ როგორც „წინამძღვარს ბატონს იოვანე“; სიგელი ძლიერ დაზიანებული და უთარიღოა.* საბუთი გაცემული უნდა იყოს 1605 წლამდე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა გიორგი X-ის ზაქარია ავალიშვილისადმი გაცემული 1605 წლით დათარიღებული საბუთი.⁹ საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ ავალიშვილებს ამ დროისათვის სამცხე დატოვებული აქვთ და ქართლში არიან გადმოსული. იოვანეს საფარის წინამძღვრობას ადასტურებს თეიმურაზ I-ის არსენ ავალიშვილისათვის გაცემული საბუთიც, სადაც საფარის მონასტრის მძიმე მდგომარეობის აღწერისას აღნიშნულია, რომ იოვანე და არსენ ავალიშვილები „ნათესაობით ღირსქმნილ იყვნეს სხდომადა საყდარსა თქუენსა (საფარა ე. კ.) ზედა“.¹⁰ ამდენად, დაახლოებით 1600-1605 წლებისათვის იოვანე საფარის მონასტრის წინამძღვარია. 1609 წლისათვის იოვანე ავალიშვილმა ქეთევან დედოფლის დაკეითით გადაწერა და აშიებით შეამკო ლოცვანის ხელნაწერი - „იამბიკონი ღმრთისმშობლისანი“.¹¹

ლოცვანში აღნიშნულია, რომ ის დაიწერა „კელითა ფედ ცოდვილისა ქუათაკევის წინამძღვრისა ავალიშვილისა იწესითა“.¹¹ იოსებ თბილელისა¹² და პარიზის ქრონიკის თანახმად,¹² 1611

* ექ. თაყაიშვილის თანახმად დათარიღებულია 1600-1605 (საქართველოს სიძველენი, გვ. 533), ხოლო პირთა ანოტირებული ლექსიკონით 1600-1615 წლებით (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 231).

⁹ იქვე, გვ. 534.

¹⁰ იქვე, გვ. 538-539.

¹¹ „ქუ ე ლ-ო ადიდე ორთავე შ-ა ცხორებაითა (და ამზეგრძელე) დედოფალთ დედოფალი ტ-რონი ქეთაონ (sic) რ-ლისა ბრძანებითა აღწერა წ-ა ესე წიგნი დღითი დღე სალოცველი. ქე სეზ. მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი ა-ნ კელითა ფ-დ ცოდვილისა ქუათაკევის წინამძღვრისა ავალიშვილისა იწესითა.“ (თ. უორდანი, ქრონიკები II, გვ. 438).

¹² თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 438.

იქ სადაც საუბარია ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის დის ქორწინებაზე იოსებ თბილელი წერს:

„მეფე ქუათახევეს წაბანდა, ნოსტიდამ ახლო არია,

ჩუშ დაც თან წაიყვანა, დღე მქონდა გასახარია,

წინ მოეგება მახარით ნასიძე წინამძღვარია,

და მან თქუა: ქუათახევეს ქორწილი გასაქმარია“ („დიდმოურავიანი“, ტფილისი, 1851, გვ. 20).

¹² ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გ. ალასანიას რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1980, გვ. 72.

წლისათვის ქვათახევის წინამძღვრად სხვა პირი, ვინმე ნასიძე ჩანს. 1609-1611 წლებში იოვანე ავალიშვილი ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი უნდა იყოს.

იოვანეს ბიოგრაფიის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია საკითხთან, იყო თუ არა იოვანე ავალიშვილი ალავერდელი მთავარეპისკოპოსი. 1612 წელს თეიმურაზ I და მისი შვილები – ლევან და ალექსანდრე, ანნა დედოფლის სააღაპედ ალავერდისათვის შეწირულების სიგელს გასცემენ.¹³ საბუთი ჩვენთვის საყურადღებოა, იმ თვალსაზრისით, რომ დაწერილია „კელითა ფრიად ცოდულისა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოსისა ი-ნესითა.“ ეს ფაქტი და კახთა მეფის სიგელში, იოვანეს მთავარეპისკოპოსად მოხსენიება, ს. კაკაბაძის აზრით, იოვანეს ალავერდელობას უნდა მოწმობდეს.¹⁴ ს. კაკაბაძისეულ მოსაზრებას იზიარებენ გ. ჩაჩანიძე¹⁵ და გ. ჯანდიერი.¹⁶ ეხება რა XVII საუკუნის ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიას გ. ჯანდიერი აღნიშნავს, რომ 1630 წლისათვის ქართლის მთავარეპისკოპოსია იოვანე ავალიშვილი, რომელიც მოხსენიებულია თეიმურაზ მეფის არსენ ავალიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში. თუმცა ის არ აიგივებს ალავერდელსა და ქართლის მთავარეპისკოპოს იოვანე ავალიშვილს, თითქოსდა ეს ორი სხვადასხვა პირია.¹⁷

მოსაზრება, რომ იოვანე ავალიშვილი ალავერდელი მღვდელმთავარია ემყარება მხოლოდ ანნა დედოფლის სააღაპედ თეიმურაზის მიერ ალავერდისადმი გაცემულ სიგელს, სადაც იოვანე ავალიშვილი იხსენიება სიგელის დამწერ მთავარეპისკოპოსად, მისი რომელიმე კათედრისადმი კუთვნილების მიუთითებლად;

ირანიდან ახლად დაბრუნებული თეიმურაზ I-ის 1612 წლის სიგელით ალავერდისადმი გაცემული უხვი შეწირულება, მეფის ხელმეორე ქორწინებას უნდა უკავშირდებოდეს. ქართლ-კახეთის სამეფოთა კავშირის გაძლიერებისაკენ მისწრაფება. ირანის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიით უნდა იყოს გაპირობებული. ქართლ-კახეთის მეფეთა ახლო ნათესაობა მათ დამოკიდებებს დიდ სირთულეს უქმნიდა. პარიზის ქრონიკით, თეიმურაზისა და ხორეშანის „შერთვა ძნელი

¹³ გ. ჩაჩანიძე, თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა მოცემული ალავერდის ტაძრისადმი, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, გვ. 146-154.

¹⁴ ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, საისტორიო მოამბე, წ. II, 1924, გვ. 154.

¹⁵ გ. ჩაჩანიძე, იქვე, გვ. 153.

¹⁶ გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), კრებ. "მრავალთავი", I, თბ., 1971, გვ. 334.

¹⁷ იქვე, გვ. 333.

საქმე იყო“ და „ბერნი და ხუცესნი უარს იყენენ,“¹⁸ ფარსადან გორგიჯანიძითაც, „მერჯულენი ნებას არ ყოფილან“.¹⁹ ორივე წყარო საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „პატრიარქმან და ეფისკოპოსთ კრება და რჩევა ქნეს“ და საქრისტიანოს გასაძლიერებლად, გასაერთიანებლად, ეკლესიამ თეიმურაზს ქორწინების ნება დართო. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია იოვანე IX (1612-1616). ამ კრების მონაწილე იქნებოდა იოვანე ავალიშვილიც, სამცხის გაოსმალების თვითმხილველი, რომელსაც კარგად ესმოდა ქართლ-კახეთის ერთობისა და ქართული საქრისტიანოს გაძლიერების მნიშვნელობა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ამ მართლაც მნიშვნელოვანი საბუთის დამწერია მთავარეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი, კახთა სამეფო კართან დაახლოებული ავტორიტეტული სასულიერო პირი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მომხრეა ამ პრობლემის ქვეყნის სასიკეთოდ მოგვარებისა. ეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე სასულიერო პირი შესაძლოა ყოფილიყო, როგორც ალავერდის, ასევე ქართლის მთავარეპისკოპოსი.

იოვანეს ალავერდის კათედრაზე აღსაყდრება სავსებით ბუნებრივად მიგვანია, თუმცა საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საბუთიანობა არასაკმარისად გვეჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ცნობების მოძიება ვერ შევძელით, შევეცადეთ ამ მოსაზრების სასარგებლოდ დამატებითი არგუმენტაცია მოგვეძიებინა და თვალთ გაგვედევნებინა XVII საუკუნის 30-იან წლებამდე ალავერდის ეპარქიის ისტორიისა და ამ პერიოდში მოღვაწე უცნობი ალავერდელის (1611-1627) შესახებ არსებული ცნობებისათვის.

იოვანე ავალიშვილის ალავერდელობის საკითხის გარკვევას, როგორც აღნიშნეთ, მეტად ართულებს სათანადო ცნობების უქონლობა. თეიმურაზ I-ის 1612 წლის სიგელში იოვანეს მხოლოდ მთავარეპისკოპოსად მოხსენიება, შესაძლოა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ის თვით წერს ალავერდისათვის განკუთვნილ დოკუმენტს და მისი ალავერდელობა თავისთავად იგულისხმება. ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 1610-11 წლებისათვის ალავერდის კათედრაზე კახთა მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) დროისათვის აღსაყდრებული ფილიპე მიჩაბაძეა. ფილიპე 1611 წლისათვის უნდა გარდაცვლილიყო. იოვანეს ალავერდელობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ იოვანე, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი 1611 წლამდე, 1611 წლიდან ქვათახევეს უკვე სხვა წინამძღვარი ყავს; ანუ ეს

¹⁸ ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გვ. 65.

¹⁹ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 20.

ცელილება დროში ერთგვარად ემთხვევა ცელილებას ალავერდის კათედრაზე.

აბას I-ის ოსმალეთის სულთნისათვის გაგზავნილ წერილში, კარგად ჩანს კახეთის ეპარქიებისათვის ირანელთა აგრესიის შედეგი. შაჰი საგანგებოდ აღნიშნავს: „ისლამის დროშის ამადლები-სათვის საღვთო ომის [წარმოების] ბედნიერებას“ და სიამაყეს „ქრისტიანთა ბევრი ტაძრისა და სამლოცველოს ისლამის ჭეშმარიტი სარწმუნოების ხალხის მიზგითებად გადაქცევის“ გამო.²⁰ ისქანდერ მუნშის გადმოცემით, შაჰმა დაიკავა ალავერდის ეკლესია – „ქრისტიანთა უდიდესი სამლოცველო და ტაძარი“, „დიდებული შენობა“,²¹ რომელსაც გალაყანი შემოაყლო და ყიზილბაშ მეთოფეთა რაზმი ჩააყენა.²²

ალავერდის მდგომარეობამ ასახვა ქპოვა როგორც თეიმურაზ მეფის 1618 წლისათვის მოსკოვს გაგზავნილ სიგელში,²³ ისე ბერი ეგნატაშვილის ცნობაშიაც.²⁴ თორღას ციხეში გადამალულ თეიმურაზ მეფის საგანძურთან ერთად, აბას I-მა ხელთ იგდო ალავერდელი მღვდელმთავარის გვირგვინი, რომელიც იუველირებმა ხუთას შაჰურ ერაყულ თუმნად შეაყასეს.^{24*} შაჰმა ალავერდელის გვირგვინი სხვა მისართმეველთან ერთად ოსმალეთს გაგზავნა.²⁵

შაჰ აბასის მიერ საქართველოდან წაყვანილ ტყვეთა შორის აღმოჩნდა იმდროინდელი ალავერდელი მთავარეპისკოპოსი და მისი

²⁰ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და რედაქცია ელ. ფუთურიძის, თბ., 1969, გვ. 93.

²¹ იქვე, გვ. 86.

²² იქვე, გვ. 86.

* „В нашей же земле монастырь великого чудотворца Георгия, а в нем была иконопалка и тот монастырь разорен до основания в церкви был поставлен шахов шатер, и в том шагре шах сам стоял с месец, и наружаясь нашей истинной православной христианской вере блуд всякой творил, чтоб осквернить божию церковь. И престол господень, где скрывается тело господа нашего Иисуса Христа, выкинул из церкви вои“ (Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношении (1615-1640), издание и редакция М. Полневктова, Тб., 1937, гв. 50).

²³ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 393.

²⁴ ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 86.

* „ციხის ალაფში იყო, სხვათა შორის, ძვირფასი თვლებით მოიკუთლი, მარგალიტებით და იაგუნდით შემკული ერთი გვირგვინი, რომლითაც შეიხი და წინამძღვარი ქრისტიანებისა, რომელიც ალავერდელის თანამდებობის ხარისხს, ესე იგი ალავერდის ეკლესიის წინამძღვრობას მოიპოვებს, ქრისტიანების წმინდა დღეებში და დიდ დღესასწაულებში თავს შეიმკობს ხოლმე, იგი ხსენებულ ტაძარში ქრისტიანთა რჯულის [წესით] სწირავს და მასთან ქრისტიანები წარმატებას და კურთხევას ეძიებენ, იუველირებმა ის ხუთას შაჰურ ერაყულ თუმნად შეაყასეს“. (ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 86).

²⁵ იქვე, გვ. 93.

ოჯახის წევრები. ტყვედ ჩაეარდნილი ალავერდელის ოჯახის, კერძოდ დების – ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და მარიამის შესახებ ცნობები მოეპოვება პიეტრო დელა ვალეს, რომელიც 1617 წლისათვის ირანში იმყოფება. სამწუხაროდ დელა ვალე მათ გვარს არსად ახსენებს. პიეტრო დელა ვალეს ცნობებზე დაყრდნობით ეს ჩვენთვის უცნობი ალავერდელი, უაღრესად წარსინებული წარმომავლობის უნდა ყოფილიყო, რაც იოვანეს ალავერდელობის სასარგებლოდ მეტყველებს. ირანში მყოფ რომაელ არისტოკრატს, თავის მეუღლესთან ერთად, განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვს ზემოხსენებულ ალავერდელის დებთან. მან მონათლა ერთერთი დის ვაჟიშვილები.²⁶ პიეტრო დელა ვალე ურბან VIII-ისათვის წარდგენილ ვრცელ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ კარგად იცნობს ქართველთა ცხოვრებას და ამ ერის მრავალი შვილის მიმართ მეგობრობა და სულიერი ნათესაობა აკავშირებს.²⁷ პიეტრო ასევე წერს, რომ ალავერდელის დებიდან ერთერთი წინა ალავერდელი ეპისკოპოსის დის შვილის მეუღლე იყო. თვით ალავერდელს, ამ დროისათვის, ტყვეობისათვის თავი უკვე დაღწეული აქვს, რის გამოც მისი დები ისპაჰანში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ და მუდმივ შიშში არიან. მდგომარეობას ამძიებებს ისიც, რომ ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებენ, რის გამოც შაჰი მათ არაერთარ შემწეობას არ უწევს. ალავერდელის დები ყიდიან საქართველოდან წაღებულ ნივთებს და თავიანთი შრომით ირჩენენ თავს. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, მათ დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდათ ირანში მყოფ ქართველთა შორის, რასაც ჩვენის აზრით, გარდა მათი პიროვნული ღირსებისა, განაპირობებს მათი სოციალური სტატუსი, რასაც პიეტრო დელა ვალეც აღნიშნავს (*“educate nella Georgia in abbondanza di ricchezze e grandezza”*).²⁸ პიეტრომ და მისმა მეუღლემ ამავე ოჯახიდან იშვილეს დიდგვაროვანი ქართველი გოგონა, თინათინი, რომელზედაც პიეტრო დელა ვალე მოგვიანებით, პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა. პიეტროს შემდგომშიაც აწუხებს ალავერდელის ნათესაეების ბედი, რომელთა მატერიალური მდგომარეობაც თანდათან უარესდება. ისინი, გარდა იმისა, რომ ინარჩუნებენ სარწმუნოებას და არ მოიაზრებიან ქართველ რენეგატთა შორის, საქართველოს მოწყვეტილნი, შეძლებისდაგვარად იღწვიან თავიანთი სამშობლოს

²⁶ Д.Л. Ватейшвили. Грузия и Европейские страны, Очерки истории взаимоотношений XIII-XVII века, М., 2003, გვ. 22.

²⁷ მ. თამარაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 553.

²⁸ Д.Л. Ватейшвили. დასახ. ნაშრ. გვ. 44; Г. Жордания. З. Гамсзარдашвили, Римско-Католическая миссия и Грузия, Тб., 1994, გვ. 617.

სასიკეთოდ. პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ მათი ოჯახი საიმედო დასაყრდენია ირანში ჩასულ თუ გაელით მყოფ მისიონერთა თუ ევროპელთათვის და სანდო მოკაცშირეთა შორის განიხილება.²⁹ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პიეტრო დელა ვალეს ცნობა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებთან დაკავშირებით. პიეტრო თავის რელაციაში საქართველოს შესახებ, რომლის ადრესატიც პაპი ურბან VIII-ეა აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ინახება ალავერდელი მიტროპოლიტის ნათესავეებთან, როგორც მანს ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დებთან, და არა ავეუსტინელ ბერებთან როგორც ეს მანამდე იყო ცნობილი.^{30*}

1617 წლისათვის, როდესაც პიეტრო დელა ვალე ალავერდელის დებთან ამყარებს ურთიერთობას, ალავერდელს ტყვეობისათვის თავი დაღწეული აქვს, რასაც დელა ვალეს გარდა მოწმობს ლუდოვიკო გრანჯერიოს ცნობაც, რომლის თანახმადაც უკვე 1615 წლისათვის ალავერდელი ეპისკოპოსი თეიმურაზ მეფესთან ერთად სამეგრელოში იმყოფება. ლუდოვიკო გრანჯერიო წერს, რომ სამეგრელოში ჩასვლისთანავე ვერ შეხვდა დადიანს მისი მოუცლელობის გამო. ლუდოვიკო მთავრის მოუცლელობის ერთერთ მიზეზად „თებრიზ ხანის მოსვლას“ (Thebris-Khan) ასახელებს. მოგვიანებით ლუდოვიკო გრანჯერიო თარჯიმნის საშუალებით ეკლესიაში თეიმურაზსაც გასცნობია „მისი ქვეყნის მიტროპოლიტთან ერთად“.³¹

თეიმურაზ მეფის „ქვეყნის მიტროპოლიტი“ უთუოდ ალავერდელია. იმერეთში გადასული თეიმურაზი დასაველეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ერთად ირანის შაჰის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავებას იწყებს. თეიმურაზ I-ის დადიანის კარზე მიტროპოლიტის თანხლებით ყოფნა, დადიანისა და თეიმურაზის მოუცლელობა, რასაც ლუი გრანჯერიო აღნიშნავს, ამ სამზადისით უნდა ყოფილიყო გაპირობებული.

²⁹ Д.Л. Ватейшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

³⁰ Г. Жордания, З. Гамезардашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 374.

* შესაძლოა ეს შეცდომა განაპირობა არასწორმა ფრანგულმა თარგმანმა. იხ. "Voyages de Pietro Della Valle", t.VIII, P., 1745 (Г. Жордания, З. Гамезардашвили, გვ. 398). იტალიური ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

"...molto favore dalle Genti della Martire Principessa Ketevan, appresso de nostri Padri Agostiniani, che restano ancora in Sciraz e che sanno il Corpo della Principessa, come dicono trovarsi dalli parenti del Metropolitano Allahverdi, e da molti Georgiani principali con chi hanno amicitia..." (Г. Жордания, З. Гамезардашвили, გვ. 374).

³¹ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 545-549.

აჯანყების გამო თეიმურაზი ბრუნდება კახეთში. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობას დაიწყო.³² აჯანყება წარმატებით დასრულდა, მაგრამ ცხადია, ციხესიმაგრედ და ბრძოლის ველად ქცეული ალავერდის ტაძარი დიდად დაზიანდებოდა. თეიმურაზთან ერთად საეარაუდოა ალავერდელის დაბრუნებაც კახეთში. კახთა მეფის წარმატება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. 1616 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი საქართველოსკენ დაიძრა. თეიმურაზი იმერეთს გადავიდა.

1614-1626 წლებში ალავერდის კათედრის, როგორც სასულიერო ცენტრის გაუქმების გამო, 1615 წლისათვის აბას I-ის ტყვეობიდან თავდაღწეული ალავერდელი მთავარეპისკოპოსი, დასავლეთ საქართველოში თეიმურაზ I-ის ამაღლაში უნდა ვიგულისხმეთ. რაც შეეხება კონკრეტულად იოვანე ავალიშვილს, 1614-დან 1630 წლამდე პერიოდში, მის შესახებ პირდაპირ ცნობას ვერ მივაკვლიეთ. ჩვენთვის ასევე უცნობია ამ პერიოდში ქართლის მთავარეპისკოპოსის ვინაობა, რაც დიდად დაგვეხმარებოდა საკითხის საბოლოოდ გარკვევაში. თეიმურაზ I-ის ავალიშვილებისადმი გაცემული წყალობის სიგელებიდან, ჩვენთვის ცნობილია, რომ იოვანეს ძმა, ზაქარია, ოჯახით, ხიზნობაში მყოფ თეიმურაზს ახლავს და მის ერთგულთა შორის მოიაზრება.³² ზაქარიას შვილი, არსენი, იოვანეს აღზრდილია, რაც თავის მხრივ გვაფიქრებინებს, რომ იოვანეც ძმის ოჯახთან ერთად დასავლეთ საქართველოში უნდა იმყოფებოდეს. სავარაუდოდ იოვანე ავალიშვილისა და ალავერდელის ადგილსამყოფელი ერთია, რაც ზრდის მათი გაიგივების შესაძლებლობას.

1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ბრძოლის წინ გამართულ სამხედრო თათბირს ესწრებოდნენ ალავერდელი, ხარჭაშნელი, რუსთველი და მროველი ეპისკოპოსები.

არჩილის თანახმად, მარაბდის ბრძოლის დროს „ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარჭაშნელია.“³³ ჩანს ალავერდელი ბრძოლის უშუალო მონაწილეა. მისი ვინაობის დაზუსტება ჯერჯერობით ვერ შევძელით, სავარაუდოდ იოვანე ავალიშვილი უნდა იყოს.

³² „ქრისტიანების დღესასწაულს, ქართველები როგორც მათი წესი და ჩვეულებაა ალავერდის ეკლესიაში იყენენ მისული სალოცავად. ციხის მცველებმა დაუდევრობა გამოიჩინეს. სიფხიზლის და ყურადღების წესები ვერ დაიცვეს, ბევრი ქართველი შეუშვეს ეკლესიაში. როცა დღესასწაულის წესები შეასრულეს, ქართველებმა ხელი ზაცვეს ძალადობას...“ (ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 96).

³² საქართველოს სიძველენი, III, გვ. 541-542.

³³ არჩილიანი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, თბ., 1937, გვ. 75.

ალავერდის კათედრაზე ცვლილება თეიმურაზის აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნების შემდგომაა სავარაუდო. იოვანეს ალავერდელობის შემთხვევაში, ის ამ დროისათვის იქნებოდა ხელდასხმული ქართლის, ხოლო მიტროფანე, (რომელიც 1628 წლიდან დანამდვილებით ალავერდელია) ალავერდის მთავარეპისკოპოსად.*

აღნიშნული საკითხის კვლევისას, ყურადღება მიიქცია კრისტოფორო კასტელის მიერ შესრულებულმა წარჩინებული მეომრის პორტრეტმა და მასზე დართულმა წარწერამ, რომელიც ალავერდელი მთავარეპისკოპოსის ძმას შეეხება.** კასტელი მას შაბატარს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს პირი, კათოლიკეების მტრის, ალავერდელად წოდებული ეპისკოპოსის ძმა იყო. ალავერდელის ძმის ვინაობასთან დაკავშირებით, საინტერესოა სქოლიოში ბ. გიორგაძის მითითება: „საბახტარი, გვარად ავალიშვილი (ს. კაკაბაძის შენიშენა).“ როგორც ჩანს, ს. კაკაბაძის აზრით, ამ დროისათვის ალავერდელია იოვანე ავალიშვილი. კასტელი ალავერდელისა და მისი ძმის გვარს არ აღნიშნავს. ჩვენი აზრით, კასტელისთან ნახსენები ალავერდელი მღვდელმთავარი მიტროფანეა, ხოლო პორტრეტზე მისი ძმაა გამოსახული. კასტელის ჩანაწერი მისი და ალავერდელის მოღვაწეობის თანადროელობას მოწმობს.**

ჩვენამდე მოღწეული საბუთებით, იოვანე ქართლის მთავარეპისკოპოსის რანგში პირველად თეიმურაზ I-ის 1630 წლით დათარიღებულ არსენ ავალიშვილისადმი მიცემულ წინამძღვრობისა და მამულის წყალობის წიგნში გეხედება, სადაც არსენი იხსენიება როგორც: „ძმისწული პირველისა მღვდელთ-მთავრისა ქართლისა მთავარ-ეფისკოპოსისა, კაცისა სწავლათა უფსკრულისა და ზეცის ბუდისა სრულისა და ფილასოფოსისა იოვანე, მეოთხედ იოვანედ ღირსისა, ავალიშვილი...“³⁴ იოვანე ქართლის მთავარეპისკოპოსად უნდა დაედგინათ დაახლ. 1626/7-1628 წლებს შორის. ნიშანდობლივია, რომ ეს წინამძღვრობისა და მამულის წყალობის წიგნი, სადაც იოვანე

* „ქართველი შაბატარი ჩვენი მტრის. ალავერდელად წოდებული ეპისკოპოსის ძმა იყო. რომლის შესახებ ურცლად მოთხრობილია მის ისტორიაში. იგი მუდამ ჩვენი კეთილისმყოფელი იყო. მის სოფელში – თქმში [ტეჩი] მე მოვინათლე უპირავე კაცი და ქალი. განსაკუთრებით მის მსახურთა გოგო-ბიჭები, რომელნიც ხშირად მასთან ერთად ცხოვრობდნენ. ისინი იარაღით ხელში გეიცადნენ ბერძნებისაგან. ყველა მათგანი წმინდა სარწმუნოების მტერი იყო უკეთილშობილესი ქართველი შაბატარი და მისი აბბავეი“ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, ბ. გიორგაძის გამოც. თბ., 1976, გვ. 87-88).

** ე. კაჭარაძე, აშმა ალავერდელი მიტროფანე. „ანალები“. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2009, გვ. 274-275.

³⁴ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 538-539.

ავალიშვილიც იხსენიება, ზებედეს, შემდგომში ალავერდელი მთავარ-ეპისკოპოსის დაწერილია („...ჯელითა ყოველთა უნარჩევებისა, ყოველად მცოდველისა ზებედესითა“), რომელიც ალავერდელად იოვანე ავალი-შვილის მიერ იქნა ხელდასხმული. ს. კაკაბაძის თანახმად, მთავარ-ეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი უკანასკნელად ამ 1630 წლის საბუთში იხსენიება და ამის შემდეგ იოვანეს შესახებ ცნობები არ მოიპოვება.³⁵

თუმცა რეალური ვითარება სხვაგვარია, რასაც მოწმობს 1637-1640 წლებში მოსკოვიდან თეიმურაზთან გამოგზავნილი ელჩების ცნობები.³⁶

თეიმურაზთან მყოფი რუსი ელჩები, 1639 წლისათვის ზებედე ალავერდელ მთავარეპისკოპოსთან საუბარზე დაყრდნობით გადმოგვცემენ შემდეგს: «А он (Зеведей-ე.კ.) архиепископ еще только третей год, как поставлен в архиепископы, а ставил его Иван архиепископ Самтаврского монастыря»;³⁶ ამდენად, 1639 წლისათვის ზებედე ალავერდელის თქმით, ის სამი წლის წინ, 1636 წელს, ალავერდის მღვდელმთავარად დაადგინა ქართლის მთავარეპისკოპოსმა იოვანე ავალიშვილმა. მოსკოვის პატრიარქის დავალებით ელჩობის სასულიერო შემადგენლობას იოვანე მთავარეპისკოპოსისათვის პატრიარქის კურთხევა, სიგელი და ღვთისმშობლის ხატი უნდა გადაეცა.^{37**}

რუსი ელჩების ცნობებიდანვე ირკვევა, რომ მათი მოსვლის დროისათვის ქართლის მთავარეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი უკვე გარდაცვლილია. ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ იოვანე უნდა გარდაცვლილიყო 1636-1639 წლებს შორის. ელჩებმა მოსკოვის პატრიარქის საჩუქარი და სიგელი თეიმურაზთან შეთანხმებით მის ნაცულად ზებედე ალავერდელს

³⁵ ს. კაკაბაძე, ეფეხისტყაოსნის 1600 წლის... გვ. 157.

³⁶ ვოლოკონსკისა და ხვატოვის ელჩობის შემადგენლობაში ასევე იყვნენ „ следующие «духовного чину люди»: старец Троице-Сергиевского монастыря Иосиф, черный священник Алексей, белый священник церкви Воскресения «что у Булгаковых двора» Григорий, черный архидьякон Чудовского монастыря Арсений и дьякон церкви «святого Георгия «ис-за Москвы-реки» Антоний” (материалы по истории Грузино-Русских..., გვ. 158).

³⁶ Материалы по истории Грузино-Русских... გვ. 371.

³⁷ იქვე. გვ. 215-217.

^{**} возлюбленному сыну и сослужебнику пресвященному Ивану архиепископу святых и пречистых великих лавры пресвятыя и пребогословенныя владычицы пашея богородицы и прснодевы Марии и честнаго ее Успения Самтаврского монастыря, купно ж и надзирателю святых соборных и апостольских церкви всемирного Воздвижения честнаго и животворящаго креста господня, священноначальнику божия града Цхета нверские земли грузинского царствия и всему освященному собору. Благодать и мир и милость от бога отца вседержителя да будет на всем священноначалии.» Послы должны были передать архиепископу от патриарха благословение, образ пречистой богородицы Одигитрия и учительную грамоту”. (Материалы по истории Грузино-Русских... გვ. 215-217).

გადასცეს.³⁸ ამ დროისათვის იოვანე ავალიშვილის გარდაცვალებას, ადასტურებს 1639 წლით დათარიღებული თეიმურაზის წერილიც, რომლის ადრესატიც რუსეთის მეფეა. წერილში თეიმურაზი აღნიშნავს, რომ: «...господин Иоанн архиепископъ ...» старости умер.»³⁹ თავისთავად ფაქტი, რომ თეიმურაზ I რუსეთის მეფეს საგანგებოდ ატყობინებს იოვანეს გარდაცვალებას, ამასთანავე მოსკოვის პატრიარქი სიგელს უგზავნის პირადად მას, მის უდიდეს ავტორიტეტსა და მისდამი დიდ პატივისცემას მოწმობს.

მნიშვნელოვანია თეიმურაზ I-ის, თვით უაღრესად წიგნიერი მეფის იოვანე ავალიშვილის პიროვნების შეფასება. თეიმურაზი იოვანეს მოიხსენიებს, როგორც პირველ მღვდელმთავარს, კაცს „სწავლათა უფსკრულსა და ზეცისა ბუდეს სრულსა და ფილასოფოს“-ს,⁴⁰ ხოლო რუსეთში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ იოვანე მთავარეპისკოპოსი იყო „отправашаиный и доирынь мужъ“.⁴¹

იოვანე ავალიშვილს საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი კალიგრაფიული მემკვიდრეობა. ჩვენთვის ცნობილია მის მიერ გადაწერილი და შემკობილი „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულთაგან უძველესი ნუსხა,⁴² ასევე, ლამაზი ხუცუროთ, ქეთევან დედოფლის დაკეთით შესრულებული ლოცვანის ხელნაწერი – „იამბიკონი ღმრთისმშობლისანი“, რომლის თითოეული ფურცელი არშია შემოვლებულია და თეიმურაზ I-ის 1612 წლით დათარიღებული ალავერდისათვის გაცემული სიგელი. ეს წარჩინებული ხელით შესრულებული სიგელი,⁴³ ქართული დიპლომატიკის საუკეთესო ნიმუშია.⁴³

კალიგრაფიისა და მინიატურის საუკეთესო ნიმუშის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის დათარიღების დაზუსტება და გადაწერის ეინაობის დადგენა შესაძლებელი გახადა თეიმურაზ მეფის ალავერდისადმი გაცემულმა, 1612 წლით დათარიღებულმა ზემოხსენებულმა

³⁸ იქვე. გვ. 261.

³⁹ М. Броссе. Переписка Грузинских царей с Российскими Государями от 1639 до 1770 г.. С.-Петербург. 1861. გვ. 8.

⁴⁰ საქართველოს სიძველენი, III. გვ. 538-539.

⁴¹ М. Броссе. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

⁴² მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივში დაცული ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი საქართველოს 1923 წლისათვის გადამოეცა. თავდაპირველად მას უკრადღება მიაქცია ალ. ხახანაშვილმა, მოკლედ აღწერა და XVI საუკუნის დასასრულით ან XVII საუკუნის დასაწყისით დაათარიღა. იოვანე ავალიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი 2005 წელს გამოცა და შენიშვნები დაურთო პ. მარგველაშვილმა (შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. პ. მარგველაშვილის გამოცემა, თბ., 2005).

⁴³ თ. უორდანი, ქრონიკები, II. გვ. 439.

⁴⁴ გ. ჩაჩანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 154.

საბუთმა. ს. კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისა და ამ საბუთის შეჯერების საფუძველზე ადგენს, რომ ისინი ერთი და იგივე პირის, იოვანე ავალიშვილის ხელითაა შესრულებული. მისივე აზრით, იოვანეს ხელნაწერი ჯერ კიდევ ერისკაცობაში, დაახლოებით 1590-1600 წლებში უნდა შეექმნა.

ავალიშვილისეულ ხელნაწერზე დაკვირვებამ ცხადყო, რამდენიმე ნუსხით სარგებლობა და გადამწერის რედაქტორული მუშაობა.⁴⁴ ასევე საყურადღებოა დაკვირვების შედეგი, რომ გადამწერს არ დასცალდა ხელნაწერზე მუშაობის დასრულება.“ მოუცლელიობის მიზეზი ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ როგორც მის შემდგომ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ასევე ზოგადად ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.

იოვანე ავალიშვილის ხელნაწერი მხატვრული თვალსაზრისით, დღესაც საინტერესოა შემოქმედათუის. ამის თვალსაჩინო მაგალითია უკანასკნელ ხანს გამოცემული ალბომი სახელწოდებით, „ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგინთ ქეთი მატაბელი“.

მხატვარი ალბომზე მუშაობისას სხვა ნუსხათა შორის იოვანე ავალიშვილისეულ ნუსხასაც იყენებს.⁴⁵ ქეთი მატაბელის ალბომში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტები კოლაჟის ტექნიკის გამოყენებითაა დასურათებული. მხატვრის ნამუშევარი შოთა რუსთაველის პოემის სახვითი ფორმით გადმოცემის მეტად საინტერესო მცდელობაა. მხატვარმა ინდივიდუალური და თანამედროვე ხედვის საშუალებით რუსთაველისეული მარადიული ღირებულებები გააცოცხლა და ემოციური დატვირთვა შემატა. აღმოსავლური ელემენტის დომინანტობა ილუსტრაციებს ერთგვარ ხიბლსა და სიმშვიდეს მატებს. კოლაჟის მეშვეობით შესრულებული ილუსტრაციები გამოირჩევა ფერთა სიუხითა და გემოვნებიანი შეხამებით. სიუჟეტის, ფერისა და ფორმის ჰარმონია, ძველისა და ახლის, დასავლურისა და აღმოსავლურის სინთეზი, მშვიდ ესთეტიურ მთლიანობას ქმნის. „ვეფხისტყაოსნის“ ქეთი მატაბელისეული ინტერპრეტაცია, რუსთაველის უზადო პოემის ღირებულებებს თანამედროვეობისათვის მეტად მიმზიდველსა და აქტუალურს ხდის. მხატვრის ნამუშევარი, ჩვენთვის,

⁴⁴ შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პ. მარგველაშვილის გამოცემა, გვ. 8.

⁴⁵ მოუხატავია პირველი ფურცლის პირველი გვერდი. რომლის მოხატვაც ხელნაწერზე მუშაობის დასასრულს უნდა განხორციელებულიყო, ნუსხაში შეინიშნება ცარიელი ადგილების სიმრავლე, ასევე მიუხედავად იმისა, რომ მას დაუზიანებელი აქვს დასაწყისიცა და ბოლოც არ ახლავს გადამწერის ანდერძ-მინაწერი (შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 8).

⁴⁵ „ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგინთ ქეთი მატაბელი, ალბომი, თბ., 2009, გვ. 103.

მეტად ფასეულია, ვინაიდან მასში გაცოცხლებულია „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ნუსხის, იოვანე ავალიშვილისეული ხელნაწერის სახეითი ელემენტები.*

ვფიქრობთ, თავის მხრივ ჩვენი ნაშრომიც ხელს შეუწყობს იოვანე ავალიშვილის, კულტურული და სასულიერო მოღვაწის, „სწავლათა უფსკრულისა“ და „ფილასოფოს“-ის, პორტრეტის აღდგენასა და სათანადო ადგილის დამკვიდრებას ქართულ ღირსეულ ქვეყნის გულშემატკივარ მამულიშვილთა შორის.

* საკითხი, არის თუ არა ხელნაწერის ბორდიურებისა და ილუსტრაციების ავტორი იოვანე ავალიშვილი, სცდება ჩვენს კომპეტენციას. შ. ამირანაშვილის აზრით ავალიშვილისეული ხელნაწერის მოხატვაზე რამდენიმე ოსტატი მუშაობდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. არნილიანი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, თბ. 1937.
2. Броссе М., Персписка Грузинских царей с Российскими Государями от 1639 до 1770 г. С.-Петербург, 1861 г.
3. „დიდმოურავიანი“ (დიდი მოურავიანი თქმული სააკაძის იოსებ თფილელისაგან დამატებით სხუათაცა მისთა თხზულებათა, თფ. 1851 წ.) (Моуравиада. Поэма въ честь Георгіа Саакадзе, Писанная 1650 года Тифл. Митрополитом Иосифомъ,) 1851 г.
4. ღონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკლეუა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ. 1976.
5. Ватейшвили Д.Л., Грузия и Европейские страны, Очерки истории взаимоотношений XIII-XVII века, М. 2003.
6. „ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენო ქეთი მატაბელი“, აღბომი, თბ., 2009.
7. თამარაშვილი მ, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაეკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბ. 1995.
8. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუტურიაძემ, თბ. 1969.
9. კაკაბაძე ს., ვეფხისტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, საისტორიო მოამბე, წ. II, 1924.
10. კაკაბაძე ს, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ. 1926.
11. კაჭარავა ე, ამა ალავერდელი მიტროფანე „ანალები“, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2009, გვ. 274-275.
12. Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений(1615-1640), документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тб. 1937;
13. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ. 1991;
14. Жордания Г., Гамезардашвили З. , Римско-католическая миссия и Грузия, Тб. 1994.
15. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფ., 1897.
16. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, (ე. კაჭარავას ნაწილი), თბ. 2000.
17. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-მომდგენელი: ე. გაბიაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბ., 2007.

18. საქართველოს სიძველენი, III, ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910.
19. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, (ბ. ლომინაძის სტატია).
20. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. III, თბ. 1970.
21. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ. 1959.
22. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ. 1973.
23. შოთა რესთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემელი პ. მარგველაშვილი, თბ. 2005.
24. ჩაჩანიძე გ., თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, მიცემული ალავერდის ტაძრისადმი, საისტორიო მოამბე, 1925.
25. ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1980.
26. ჯანდიერი გ. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ. 1971.

EKA KACHARAVA

ON THE IDENTIFICATION OF IOANE AVALISHVILI

Summary

The paper discusses the problem of the identification of the outstanding ecclesiastic figure, calligrapher and copyist of manuscripts. For a long time the Father Superior of the Sapara and Kvatakhevi monasteries and subsequently the Archbishop of Kartli Ioane Avalishvili was identified with the Catholicos-patriarch of Eastern Georgia Ioane IX. Having studied all the sources concerning the activities of Ioane Avalishvili and Catholicos Ioane IX and also those of Mitropane, the Metropolitan of Alaverdi, the author comes to the conclusion that Ioane Avalishvili, who died between the years 1636 and 1639 and Catholicos Ioane, who died in 1616 or 1617, are different persons. The author shares the opinion that for a certain period Ioane Avalishvili was also the bishop of Alaverdi. In this paper the author also defines the identity of a high-born horseman represented in Christophoro Castelli's album – it must be brother of Mitropane Alaverdeli (of Alaverdi).

EKA KACHARAVA

К ИДЕНТИФИКАЦИИ ИОАННА АВАЛИШВИЛИ

Резюме

В статье рассмотрен вопрос идентификации видного церковного деятеля, каллиграфа и переписчика рукописей. Долгое время в грузинской историографии настоятель Сапарского и Кватахевского монастырей, а затем архиепископ Картлийский Иоанн Авалишвили отождествлялся с Католикосом-патриархом Восточной Грузии Иоанном IX-ым. Анализируя все источники касающиеся деятельности Иоанна Авалишвили и Католикоса Иоанна IX, а также Алавердского митрополита Митрофана, автор приходит к выводу, что скончавшийся между 1636-1639 гг. Иоанн Авалишвили и умерши в 1616 или в 1617 г. Католикос Иоанн разные лица. Автор разделяет мнение, что Иоанн Авалишвили в одно время был и Алавердским архиереем. В статье уточняется дата надписи оклада Святицховельской иконы и датируется приibl. 1623-1632гг; так же уточняется личность изображенного в альбоме Христофоро Каstellи родовитого всадника – это должен быть брат Митрофана Алавердского.